



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 12
01/02/2018

12-06-4-201802011028



ბრძანება

„ანა მახარაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში, მობილობის წესით გადაყვანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 დეკემბრის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება, „ანა მახარაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილებაში IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში მობილობის წესით გადაყვანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 დეკემბრის N11 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ანა მახარაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების IV რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში, მობილობის წესით გადაყვანის შესახებ“.

ბ) ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ანა მახარაძე მობილობის წესით გადაყვანილი იქნას 2017 წელს გაუქმებული ქალაქ


ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხებში IV რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების IV რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, კომპიუტერიული უზრუნველყოფის საკითხებში და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 750 (შვიდასორმოცდათი) ლარით.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო